პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 86 (996) | კვირა, 21 ოქტომბერი, 1956 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.



**რთული ტრასა და მაღალი ოსტატობა**

ამ სათაურით ნარკვევი იხილეთ მე-8 გვ. წრეში 350 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებში გამარჯვებული თ. შალიბაშვილი.

# დავაჩქაროთ დედაქალაქის სპორტული ბაზების მშენებლობა

შეუძლებელია ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე ვილაპარაკოთ, თუ არ გვაქვს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები, თუ ახალგაზრდები რეგულარულად არ მეცადინეობენ სარბენ ბილიკებზე, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნებზე, ჩოგბურთის კორტებზე...

ორ თვეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ძირითადი ნაგებობები. სარბენ ბილიკებზე, ფეხბურთის მინდორზე, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნებზე, საწყლოსნო აუზში თავიანთი მზარდი ოსტატობა აჩვენეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილეებმა, დამყარებულ იქნა საკავშირო და მსოფლიო რეკორდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. აქ ჩატარდა აგრეთვე პირველი საერთაშორისო შეხვედრები. მაყურებელმა ნახა უნგრელი, ავსტრიელი, გერმანელი ფეხბურთელები, ფრანგი, ჩინელი კალათბურთელები, რუმინელი ჩოგბურთელები და სხვ.

ლუჟნიკზე მისვლისას თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიქცევდა აღმოსავლეთის მხარეს მდებარე ვეებერთელა შენობა, სადაც ხალხთა სპარტაკიადის ცხარე დღეებშიც კი არ წყდებოდა მანქანების ხმაური. აქ სპორტის სასახლის უკანასკნელ სამუშაოებს ამთავრებდნენ მშენებლები, რათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისათვის მიეძღვნათ ეს შესანიშნავი სპორტული ნაგებობა. „სპორტის სასახლე ორიგინალური სპორტული ბაზაა. აქ მაყურებელი ნახავს როგორც ჩოგბურთელთა, ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, აგრეთვე ჰოკეისტების, ყინულზე ფიგურული სრიალის ოსტატების ასპარეზობას", — გვწერენ მოსკოველი ამხანაგები.

სპორტული ბაზების რიცხვი დღითიდღე იზრდება. მწყობრში დგება ახალი სტადიონები, დახურული საცურაო აუზები... ასეა ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში — სახელოვანი კომუნისტური პარტია და მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში არც თუ ისე ცოტა რაოდენობითაა სტადიონები, სპორტული მოედნები, ჩოგბურთის კორტები და სხვა სპორტული ნაგებობანი. მაგრამ ისინი მაინც ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამიტომ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით სულ უფრო ფართოვდება სპორტული ბაზების მშენებლობა, არსებულის კეთილმოწყობა. მაგრამ როგორ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას მშენებელი ორგანიზაციები? უნდა ითქვას, ძალზე სუსტად.

სამართლიანია თბილისელ სპორტისმოყვარულთა შენიშვნა, როცა ისინი „ბურევესტნიკის" სტადიონს „არაშენდას" უწოდებენ. მართლაც, ზემოაღნიშნული ბაზის მშენებლობა წლების განმავლობაში ჭიანურდება. ვერ იქნა და ვერ მოახერხეს დასკვნითი სამუშაოების დამთავრება. ჩვენ საკუთარ თავზე გამოგვიცდია, თუ რარიგად ესაჭიროება ეს სტადიონი მაყურებელს, როცა იგი „დინამოს" სტადიონზე გამართულ საინტერესო ასპარეზობას ფეხზემდგომი ადევნებს თვალს. ანდა თუნდაც რესპუბლიკური შეჯიბრების დროს რა გამოუვალ მდგომარეობაშია სპორტის ბევრი მოყვარული, როცა მათ სურთ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ნახონ კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, მოკრივეთა და მოჭიდავეთა შეხვედრები, ხოლო „სპარტაკის" სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობაზე, რომელიც საბურთალოში მიმდინარეობს, მხოლოდ ორი ექსკავატორი თხრის საძირკველს... საქმე კუს ნაბიჯით მიდის წინ.

ნოემბრის პირველ ნახევარში თბილისში უნდა მოეწყოს ცხენოსანთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები. მაგრამ სად უნდა ჩატარდეს ეს საინტერესო სპორტული ღონისძიება, დედაქალაქის იპოდრომზე? მას მხოლოდ სახელი აქვს იპოდრომის, ცხენთა სარბენი ტალახშია ჩაფლული. აქ არ არის მოწყობილი დასაჯდომები მაყურებელთათვის. როდემდე უნდა ველოდოთ იპოდრომის კეთილმოწყობას? ნუთუ ეს საკითხი სრულებით არ აწუხებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციას, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობს? იპოდრომის გარდა სხვა ბაზებიცაა დედაქალაქში, რომელთა შეკეთება ჭიანურდება. (საჭიდაო დარბაზი, „დინამოს" სტადიონის დახურული აუზი და სხვ.).

დედაქალაქის სპორტსმენებს ზემოაღნიშნული ბაზები ჰაერივით სჭირდებათ. ეს უნდა შეიგნონ სამშენებლო ორგანიზაციებმა. მათ კარგად უნდა ახსოვდეთ აგრეთვე ის, რომ ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობა მარტო სათანადო კომიტეტებისა და სექციების საქმე როდია — ეს საერთო საქმეა და მხოლოდ კოლექტიური მუშაობით შეიძლება ამ საპასუხისმგებლო უბანზე წარმატებათა მოპოვება.

# სამშენებლო ხელოვნების საოცრება

სამი თვე არ გასულა მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი მოსკოვში. აქ უკვე თავისი ოსტატობა უჩვენეს მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დღეებში, ჩატარდა პირველი საერთაშორისო შეხვედრები უნგრეთის, ავსტრიის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფეხბურთელებთან, საფრანგეთისა და ჩინეთის კალათბურთელებთან, რუმინეთის ჩოგბურთელებთან. მაშინაც, როცა აქ შეჯიბრებები არ ტარდება, ათასობით მოსკოველი და სტუმარი მოდის სტადიონზე, რომ ნახოს გრანდიოზული სპორტული ნაგებობანი.

სტადიონის ტერიტორიაზე დასასრულს უახლოვდება ევროპაში უდიდესი სპორტული ნაგებობის — სპორტის სასახლის მშენებლობა. ნოემბრის პირველ რიცხვებისთვის ხალხტევად ტრიბუნებს პირველად შეავსებენ მაყურებლები.

სპორტის სასახლე ორიგინალურ ნაგებობას წარმოადგენს. სარბიელზე მოწყობილია ხელოვნური საციგურაო ზომით 61×30 მეტრი. აქ მოეწყობა შეჯიბრებები ჰოკეიში და ციგურებით სრიალში. საჭიროების შემთხვევაში ამ ადგილზე შეიძლება ტრანსფორმატირებულ იქნას მიწის მოედანი ჩოგბურთელთა ასპარეზობისათვის, ხოლო ფრენბურთელთა და კალათბურთელთა შეჯიბრების დროს მასზე დაიგება ხის იატაკი. აქვე ჩატარდება შეჯიბრებები კრივში, ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში, აკრობატიკასა და ფარიკაობაში.

სასახლის ტრიბუნები დაიტევს 14.700 მაყურებელს, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ ადევნონ თვალი სარბიელზე მომხდარ ამბებს. მაყურებელთა განკარგულებაშია ვრცელი ფოიე, გარდერობები, ბუფეტები. აქვეა მოთავსებული სამედიცინო კაბინეტები, საშხაპეები, დიდი დარბაზი დაჭურვისათვის. სპორტის სასახლის მთელი ფართობი 26.000 კვადრატულ მეტრს შეადგენს, სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ თავისუფლად მოთავსდება მოსკოვის ათი დიდი თეატრი. სასახლის სარბიელზე მოეწყობა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უდიდესი საესტრადო მოედანი 600 კვადრატული მეტრი ფართობით. მაშინ სარბიელი გარდაიქმნება მაყურებელთა ვეებერთელა დარბაზად — თეატრად, სადაც მოთავსდება ასეთი შემთხვევებისათვის მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა — 12.000 კაცი.

კონდიციური ჰაერი, რომელიც დარბაზში შემოდის მძლავრი სავენტილაციო კამერებიდან, ქმნის მაყურებლისა და სპორტსმენისათვის სასიამოვნო ტემპერატურას წლის ყოველ დროში. სპეციალური ელექტროსამსაჯო მოწყობილობანი მაყურებლებს დაუყოვნებლივ გააცნობენ შეჯიბრებათა ამბებს.

ახლო მომავალში ამ უდიდეს დახურულ დარბაზში მოეწყობა მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ჰოკეიში, აგრეთვე ამხანაგური შეხვედრები ინგლისის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და სხვა ქვეყნების ჰოკეისტებთან. 1957 წლის 25 თებერვალს აქ გაიხსნება ევროპისა და მსოფლიო პირველობა ჰოკეიში.

1957 წლისათვის სპორტის სასახლეში ჩატარდება სსრ კავშირის პირველობა კალათბურთსა და ფრენბურთში, ამხანაგური შეხვედრები იუგოსლავიის კალათბურთელებთან, ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელებთან, ფინეთის მოჭიდავეებთან, დანიის, იტალიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებთან, იაპონიის ტანმოვარჯიშეებთან. აქვე გაიმართება კრივში საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალური შეხვედრები. ადრე ასეთი შეჯიბრებები იმართებოდა მოსკოვის ცირკში, „კრილია სოვეტოვისა" და „დინამოს" სპორტულ დარბაზებში, სადაც მოხვედრა შეეძლო „რჩეულ" სპორტის მოყვარულთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობას. ახლა ეს შეჯიბრებები მისაწვდომი გახდება ათიათასობით სპორტის მოყვარულისათვის.

**ა. კონსტანტინოვი**

მოსკოვი.

# გალინა ზიბინას რევანში

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ქალთა შორის ბირთვის კვრაში ცნობილმა სპორტსმენმა თ. ტიშკევიჩმა დაამარცხა მსოფლიო რეკორდსმენი გ. ზიბინა. ამას წინათ ტაშკენტში მოწყობილ საქალაქო პირველობაზე მძლეოსნობაში ადგილობრივ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უძლიერესი მძლეოსნები. ბირთვის კვრის სექტორზე კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქენი — გ. ზიბინა და თ. ტიშკევიჩი. ამ ორი უძლიერესი სპორტსმენის ორთაბრძოლამ კვლავ „დაბადა" მსოფლიო რეკორდი. გ. ზიბინამ ბირთვი ჰკრა 16 მეტრსა და 76 სანტიმეტრზე, რითაც დაამყარა ახალი საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო რეკორდი.

ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა აგრეთვე დ. ბონდარენკომ — სიგრძეზე ხტომაში — 769 სმ, საკავშირო და ევროპის რეკორდები 400 მეტრზე თარჯრბენში ი. ლიტუევმა — 50,4 წ და მ. იტკინამ — 200 მეტრზე რბენაში — 23,4. წ.

# დიდი ტურნირი

V ტურში შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა სმისლოვმა. მან ადრე შექმნა გამვლელი პაიკი, რომლითაც გოლომბეკის ფიგურები შებოჭა. სმისლოვმა აქტიური თამაშით მეფის ფრთაზე პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. გლიგორიჩს მცირე უპირატესობა ჰქონდა პადევსკისთან, მაგრამ ბულგარეთის ჩემპიონი პაიკების ენდშპილში შეცდა და წააგო. ტაიმანოვმა უკეთესი თამაში მიიღო საბოსთან. შავებმა შეწირეს პაიკი და ლაზიერის აქტიურ პოზიციაზე გადაყვანით მიაღწიეს ყაიმს. ასეთივე შედეგით დასრულდა ულმანპახმანის და კერეს-ჩოკილტიას პარტიები.

VI ტურში სმისლოვმა დაამარცხა საბო. ეს უნგრელი გროსმაისტერის პირველი დამარცხებაა ამ ტურნირში. ასევე პირველი დამარცხება განიცადეს პახმანმა, რომელსაც დიდხანს უკეთესი პოზიცია ჰქონდა კერესთან, და შტალბერგმა — უნციკერთან. პადევსკიმ ძლიერი იერიში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონის პოზიციის წინააღმდეგ, მაგრამ ბოტვინიკმა მე-13 სვლაზე ხარისხის სწორი შეწირვა განახორციელა და მდგომარეობა შეიცვალა. ბოტვინიკმა გამოიყენა მოწინააღმდეგის ფიგურების არახელსაყრელი განლაგება და 26-ე სვლაზე გაიმარჯვა. ყაიმზე შეთანხმდნენ ნაიდორფ-გლიგორიჩი და ჩოკილტიაგოლომბეკი.

VII ტურში გროსმაისტერების კერესისა და ბრონშტეინის შეხვედრაში ბრონშტეინმა ხარისხის საინტერესო შეწირვა განახორციელა, რამაც მდგომარეობა უკიდურესად გაამწვავა. 24-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი გაურკვეველ პოზიციაში მოულოდნელად ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა აგრეთვე ტაიმანოვშტალბერგის პარტია.

სმისლოვმა ორი პაიკი მოუგო ჩოკილტიას. გადადებულ პოზიციაში რუმინელი ოსტატის მდგომარეობა უიმედოა. ბოტვინიკს ზედმეტი პაიკი აქვს ნაიდორფთან, მაგრამ შავები ყაიმის კარგ შანსებს ინარჩუნებენ. ულმანს მოსაგები პარტია აქვს პადევსკისთან, ხოლო გლიგორიჩ-უნციკერის პარტიაში უპირატესობა იუგოსლავიის ჩემპიონის მხარეზეა.

შვიდი ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: ტაიმანოვს და სმისლოვს აქვთ 4,5 ქულა თვითეულს, ბოტვინიკს — 4, ხოლო კერესსა და პახმანს 4-4 ქულა.

# მწვრთნელის დღიურებიდან

**ზ. ჯეჯელავა,**
**თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი.**

3 ოქტომბერს დილის 7 საათზე გავფრინდით მოსკოვიდან. სოფიაში ჩასვლამდე ჩვენი თვითმფრინავი ჯერ კიევში, ხოლო შემდეგ ბუქარესტის აეროდრომზე დაეშვა. აქედან გადავჭერით ალპები და სოფია გამოჩნდა. აეროდრომზე შეგვხვდნენ სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მისასალმებელი სიტყვების გაცვლის შემდეგ დასაბინავებლად გავემართეთ სასტუმრო „სევასტოპოლში".

იმავე დღეს დავესწარით პირველი ჯგუფის გუნდების შეხვედრას — თამაშობდნენ „ლოკომოტივისა" და სკია-ს ფეხბურთელები. ეს მატჩი „ლოკომოტივის" გამარჯვებით დამთავრდა. სკია-მ მეორედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა და მისი ადგილი ჩვენმა მომავალმა მოწინააღმდეგემ სოფიის „დინამომ" დაიკავა.

4 ოქტომბერს დილის 12 საათისათვის დავნიშნეთ ვარჯიში. მშვენიერი დღე იდგა. სავარჯიშოდ ყველა გამოვიდა, გარდა ა. ზაზროშვილისა, რომელიც ფეხის ტკივილის გამო ვერც ერთ თამაშში ვერ მიიღებდა მონაწილეობას. ეს ჩვენ თბილისშიც ვიცოდით, მაგრამ მაინც წამოვიყვანეთ, რადგან ვთვლიდით, რომ მოთამაშისადმი ასე გულისხმიერი მოპყრობა კიდევ უფრო აამაღლებდა მთელი გუნდის ბრძოლისუნარიანობას.

ვარჯიში 12 საათზე დავიწყეთ. 15-წუთიანი, ჩვენებურად ეგრეთწოდებული „ვაშმუშვნის" შემდეგ, რომელშიც შედის რბენა, ტანვარჯიშის ვარჯიში და ხტომები, ბურთით მეცადინეობაზე გადავედით. ყველამ მიიღო თავისი დავალება და, როცა ა. კიკნაძე მოედნის ერთ ნახევარზე ავარჯიშებდა მოთამაშეებს, მე მეკარეებთან დავიწყე მუშაობა. ვარჯიში ბევრ ხტომასა და ძირსვარდნას შეიცავდა. მ. პირაევი და ვ. მარღანია ყოველ 5 წუთში იცვლებოდნენ. ვარჯიშის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ მ. პირაევმა გამომიცხადა, რომ მას ძალიან სტკივა მუცლის ქვედა ნაწილი და მთხოვა ნება მიმეცა ძირსვარდნები არ შეესრულებინა. მე მას მოედნიდან წასვლის უფლებაც კი მივეცი, მაგრამ მიპასუხა: — შევეცდები ტკივილები როგორმე დავძლიო, — და დარჩა მოედანზე, კიდევ რამდენიმე ნახტომი გააკეთა, ძირსაც დაეცა ბურთის დასაჭერად, შემდეგ ორმხრივ თამაშში მიიღო მონაწილეობა. პირაევი პრაევს არ ჰგავდა, მაგრამ ვარჯიშისათვის თავი არ დაუნებებია.

ვარჯიშის შემდეგ ვავემართეთ ცდნა-სა და № 12 ქარხნის გუნდების შეხვედრაზე დასასწრებად. პირველისათვის ერთი ქულა სავსებით საკმარისი იყო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად, ხოლო მეორეს იგივე ერთი ქულა წამალივით სჭირდებოდა პირველ ჯგუფში დასარჩენად. ვუყურებდით ამ „შეუპოვარ" ბრძოლას და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენთვის ნათელი შეიქმნა, რომ ეს თამაში 0:0-ზე უნდა დამთავრებულიყო.

მეორე ტაიმის დამთავრებას 8 წუთი უკლდა, როცა ცდნა-ს სასარგებლოდ დაინიშნა საჯარიმო 25 მეტრიდან. დაარტყა ერთ-ერთმა შუამარბმა. ბურთი № 12 ქარხნის კარებში აღმოჩნდა, დამრტყმელმა კი თავზე წაივლო ხელი და მგონი სთქვა: „ვაი, ეს რა მომივიდაო". ამის შემდეგ ბურთი № 12 ქარხნის ნახევარზე არც დაგვენახავს. ცდნა-ს კარები სულ „საშიშროების" ქვეშ იყო, მაგრამ გოლის გატანა ვერა და ვერ მოხერხდა. თამაშის დამთავრებას ორი წუთი უკლდა, როცა № 12 ქარხნის შუამარბი ცდნა-ს შუადამცველმა ვერაფრით ვერ „დააკავა". ამას მოჰყვა ძლიერი დარტყმა, მეკარის სხარტი ნახტომი და ბურთი შეეხო ბადეს იმ ადგილზე გავლით, საიდანაც მეკარემ ისკუპა — 1:1. თამაშის გეგმა შესრულდა.

№ 12 ქარხნის გუნდის ნაცვლად „ა" ჯგუფი „ტორპედოს" გუნდმა დატოვა.

საღამოს ჩემთან შემოვიდა მ. პირაევი და მითხრა, რომ მას ტკივილები ჰქონდა ვარჯიშამდე, შემდეგ კიდევ უფრო გაუმწვავდა და ახლაც არ უამდება. მაშინვე მივიღეთ სასწრაფო ზომები. მ. პირაევს აღმოაჩნდა მწვავე ფორმის ჩირქოვანი თიაქარი. აუცილებელი იყო ოპერაციის გაკეთება.

ამრიგად, დავრჩით ერთი მეკარის ანაბარა. ვნახოთ რას მოგვიტანს ბულგარეთის ძლიერ გუნდებთან შეხვედრა. პირველი თამაში 6 ოქტომბერს გვქონდა დანიშნული. 5 ოქტომბერს არ გვივარჯიშნია, ვათვალიერებდით ქალაქს, რომელმაც ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თვალში გვეცა სპორტული ბაზების სიმრავლე. ქალაქი საკმაოდ გამწვანებულია. ბევრია ყვავილოვანი პარკები. მოსახლეობა, როგორც გვითხრეს, 700.000 კაცს აღწევს. იმავე დღეს ვინახულეთ გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი და გვირგვინით შევამკეთ იგი. გვირგვინზე ეწერა:

**გიორგი დიმიტროვს**
**საქართველოს ფეხბურთელთა დელეგაციისაგან.**

დადგა თამაშის დღე. ცა მოწმენდილია, მაგრამ ქარი ჰქრის. წვიმიან ამინდს მაინც ქარი გვირჩევნია. ჩვენს მოწინააღმდეგეს პერსონალურად არ ვიცნობთ, მაგრამ ვიცით, რომ პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილი უკავია. ვიცით ისიც, რომ წელს ბულგარელებმა 62 საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარეს და თითქმის ყველა თამაში მოიგეს. უკანასკნელ დღეებში გამარჯვება მოიპოვეს პოლონეთის, რუმინეთისა და იუგოსლავიის გუნდებზე. ვიცით კიდევ ის, რაც აქ ყოფნის დროს ვნახეთ: მაღალტექნიკური მოთამაშეები არიან, კარგად ხედავენ მოედანს, რთული პოზიციებიდან ადვილად გამოდიან, დრიბლინგისა და მოტყუებითი მოძრაობის კარგი ოსტატები არიან.

ჩვენ უნდა გამოგვენახა ყოველივე ამის საწინააღმდეგო. აუცილებლად ფლანგებიდან უნდა ვაგვერღვია მოწინააღმდეგის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატების მიღწევა შეუძლებელი იყო. მოწინააღმდეგის თვითეული მოთამაშე პერსონალურად უნდა ჩაგვეჭირა, რათა არ მიგვეცა თავისუფალი თამაშის შესაძლებლობა. დაცვიდან სწრაფად უნდა გავსულიყავით თავდასხმაში, რათა ბრძოლის ველი გადაგვეტანა ჩვენი კარებიდან მოშორებით. იერიშის დამთავრების შემდეგ სწრაფად უნდა დაგვეხია უკან, რათა მოგვემზადებინა ახალი შეტევა ფლანგებიდან. მოთამაშეები გაფრთხილებულნი იქნენ, რომ მსაჯობის მხრივ შეუძლიათ დამშვიდებულნი იყვნენ, ვინაიდან სამივე თამაშს სჯის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ბატონი შიკერი შვეიცარიიდან.

16 საათისათვის ვ. ლევსკის სახელობის სტადიონი, რომელიც უდიდესია სოფიაში, ხალხით გაიჭედა. ერთ მხარეს ფრიალებდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ალამი, მეორე მხარეს კი — საბჭოთა საქართველოსი.

ტრადიციული ცერემონიალის შემდეგ თამაში დაიწყო. ჩვენი გუნდი შემდეგი შემადგენლობით გამოვიდა: ვ. მარღანია, ვ. ელოშვილი, ნ. ძიაპშიპა, გ. ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, ა. ღოღობერიძე, ბ. ხასაია, კ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ა. ჭყუასელი, მესხი. პირველ ტაიმში ქარის წინააღმდეგ მოგვიხდა თამაში. დაწყებითი დარტყმა ჩვენი იყო. ორი გადაცემა და ბურთი მათ ჩაუვარდათ ფეხში, დაიწყეს ჩვენი კარების შეტევა და პირველ წუთზე მარღანიას მოუვიდა ბურთი. მან იგი გადასცა ღოღობერიძეს, ღოღობერიძემ — გაგნიძეს, გაგნიძემ—ჭყუასელს, ხოლო ამ უკანასკნელმა კართან კარგად გაიყვანა კალოევი, რომელიც მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. გოლი თითქმის გარდუვალი იყო, მაგრამ ტექნიკურად სწორად შესრულებული ნელი დარტყმის შემდეგ ბურთი მეკარის ხელში აღმოჩნდა.

მე-14 წუთზე ჭყუასელმა მარცხენა გარემარბის ადგილზე გადაინაცვლა, მის მიერ გათავისუფლებული ადგილი დროულად დაიკავა ღოღობერიძემ, რომელმაც კარგად მიიღო კალოევის მიწოდება და ასევე კარგად გადასცა ბურთი ჭყუასელს, მან [illegible] ძლიერესი დარტყმით ბურთი [illegible]კენ გაგზავნა. მეკარე დერვენტსკიმ ვერ შეძლო ბურთის დაკავება — 1:0. შემდეგში ჩვენს თავდასხმას კიდევ ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ხელით იჭერენ ჯერ კალოევს, მერე ჭყუასელს, მსაჯი შიკერი ყოველივე ამას „რატომღაც კანონიერად" სცნობს. იწყება მსაჯთან კამათი, მაშასადამე, ნაწილი ყურადღებისა მსაჯისაკენაა მიმართული, ნელ-ნელა ირღვევა თამაშის მთლიანობა. დინჩევმა ბურთი აპოსტოლოვს (№ 4) გადასცა, აპოსტოლოვმა — არსოვს (№ 5), მისგან მიიღო აბადჟიევმა (№ 8) და პეჩენიკოვს (№ 7) გაუგდო წინ. ეს უკანასკნელი კარგად შემოიჭრა ჩვენი საჯარიმო მოედნის მარჯვენა კუთხეში და იქიდან ძლიერად დაარტყა კარში — 1:1.

თამაში გათანაბრდა, აღარ ჩანს ჩვენი უპირატესობა, მიდის თამაშის 32-ე წუთი. სოფიის დინამოელები ჩვენი საჯარიმოს ახლოს არიან. პეევმა (№ 10) ბურთი იორდანოვს (№ 9) გადასცა, მას ხოჭოლავა შეებრძოლა და თითქმის ააცილა ბურთი, მაგრამ აქ იორდანოვმა ხელით გაასწორა იგი და ძლიერი დარტყმით კარში მოათავსა. ჩვენი მოთამაშეები მისცვივდნენ მსაჯს, უჩვენებდნენ, რაც მოხდა, შემდეგ ვაიჭრნენ გვერდითი მსაჯისაკენ, რომლის წინაც ეს ხდებოდა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმაც დინოვმა, რომელმაც თავის დროზე აღნიშნა თამაშის წესის დარღვევა, ახლა ცენტრისაკენ გაიშვირა ალამი. სხვა გზა არ იყო, ცენტრიდან დავიწყეთ.

ხალხის ყიჟინმა მსაჯის არაობიექტურობაზე ჩვენ ფეხბურთელებში არევ-დარევა შეიტანა და თამაში სულ გაფუჭდა. ახლა შეტევებს მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. რამდენიმეჯერ გაიჭრნენ ხასაია, მესხია, ჭყუასელი, გაგნიძე, კალოევი. ჩვენს კარებთან მოწოდებულ [illegible] რამდენიმე კუთხური. ერთ-ერთი კუთხური [illegible] დროს მსაჯმა კარებთან [illegible] მოთლი დაინახა, ხელში აიღო და კარებს მოაცილა, ჩვენთან ახლოს დადგა. ეს კი ვეღარ მოვითმინე... შევუბღვერე...

პირველი ტაიმი წავაგეთ — 1:2. შესვენებისას მოთამაშეებს მივეცი ტაქტიკური მითითებები, ძირითადად დაბალი გადაცემებით უნდა ეთამაშათ და გამოეყენებინათ კოტრიკაძისა და ღოღობერიძის მოულოდნელი გასვლები მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. მტკიცედ გადავწყვიტეთ მოგვეგო თამაში მოწინააღმდეგის გუნდისათვის და... მსაჯისათვისაც.

დაიწყო მეორე ტაიმი. თავიდანვე მოედნის სრული მფლობელები ქართველი ფეხბურთელები იყვნენ, პირდაპირ „ხაზავდნენ" მოედანს, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. 61-ე წუთზე ძიაპშიპამ ბურთი ელოშვილს გადასცა ცენტრის ხაზთან, ცენტრიდან მარჯვენა გარემარბის მხარეს ვაიჭრნენ კალოევი და გაგნიძე, ბურთი კი მიიღო ხასაიამ, მან ჭყუასელს გადასცა, უკანასკნელმა — კალოევს, რომელმაც ძლიერი დარტყმით ბურთი კარებისაკენ გაგზავნა, მეკარემ შესანიშნავი ნახტომით მოიგერია ბურთი, მას მიუსწრო ღოღობერიძემ და მოწინააღმდეგის კარის ბადეში გახვია — 2:2.

ერთი წუთიც არ გასულა, რომ კოტრიკაძემ ელოშვილს გაუგორა ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე. მარჯვნივ გაიჭრნენ კალოევი და გაგნიძე, ელოშვილმა შუაში შემოჭრილ ჭყუასელს გადასცა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა მცველები და კარიდან გამოვარდნილ მეკარეს ოსტატურად გადაუგდო ბურთი თავზე. ანგარიში გახდა 3:2 თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ. ასე დამთავრდა ეს მატჩი.

(გაგრძელება იქნება)

## მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ფ ა ქ ტ ი

საქართველოში ჭადრაკის წარსული ჯერჯერობით მხოლოდ გამოკვლევისა და შესწავლის პერიოდშია. ამიტომ ყოველ ახალ ცნობას, რომელიც კი მზის სინათლეს მოფენს მის ისტორიას, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამას წინათ ქუთაისის რაიონის სოფელ დერჩში ჩვენ მივაგენით საყურადღებო ამბავს, რომელიც საქართველოში მდიდარი საჭადრაკო კულტურის ტრადიციებზე მეტყველებს.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში რაჭა-ლეჩხუმში კარგი მოჭადრაკის სახელით სარგებლობდა სოფელ დერჩის მცხოვრები ფოტინე ჩიქოვანი.

ფოტინე ჩიქოვანი დაიბადა 1812 წელს ცაგერის რაიონის სოფელ უცხერში. ჭადრაკი მას უსწავლია ბავშვობაში თავის ოჯახში, სადაც თითქმის ყველა წევრი თამაშობდა. მათთან ხშირად იმართებოდა საოჯახო ტურნირები. ამის სულისჩამდგმელი კი იყო ოჯახის მამა, რომელიც თავისი დროისათვის მოწინავე ადამიანი ყოფილა. იგი დაახლოებული იყო იმერეთის მეფის სოლომონ II სასახლესთან. საფიქრებელია, რომ მან აქ შეისწავლა ჭადრაკი და შემდგომ მისდამი სიყვარული თავის შვილებსაც ჩაუნერგა.

40-იან წლებში ფოტინე ჩიქოვანი ცოლად გაჰყვა სოფელ დერჩის მკვიდრს დათა ასათიანს. მშობლებმა ფოტინეს სხვა მრავალ ძვირფას განძეულთან ერთად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და სპილოს ძვლისაგან გამოთლილი ჭადრაკი გაატანეს. ჭადრაკისადმი სიყვარული ფოტინემ ქმრის სახლშიც დაამკვიდრა. დიასახლისმა თავის ოთხ შვილსაც შეაყვარა იგი.

ფოტინეს უპირატესად ჭადრაკის თამაში სახლში უხდებოდა ნაცნობმეგობრებთან, მაგრამ ძლიერ მოჭადრაკეებს იგი ქუთაისში გრიგოლ დადიანის სასახლეში ხვდებოდა. გრიგოლ დადიანი, რომელიც სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ძმა იყო, ჭადრაკის დიდი მოტრფიალე ყოფილა. მის სახლში ხშირად ჭადრაკის მოყვარულები იკრიბებოდნენ. გრიგოლი ჭადრაკს კარგად თამაშობდა, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოიგო პარტია თავისი ძმისშვილის ანდრია დადიანისათვის, რომელიც ევროპასა და რუსეთში გამოჩენილი ნიჭიერი მოჭადრაკის სახელით სარგებლობდა. [illegible] მამია გურიელისათვის, რომელიც ჭადრაკის დიდი მოტრფიალე ყოფილა.

ფოტინეს არ ცოდნია საჭადრაკო თეორია, მაგრამ დიდი პრაქტიკული ძალის მოთამაშე ყოფილა. მას უყვარდა პარტიის მეფის ფრთის მხედრით დაწყება. ამით მას მოწინააღმდეგის თამაშში არეულობა შეჰქონდა, რადგან იმ დროს თამაშის დაწყების სხვა გზები უფრო იყო პოპულარული. ღრმა მოხუცებულობაშიც შერჩა მას ჭადრაკისადმი სიყვარული. იგი ხალისით ეთამაშებოდა თავის შვილებსა და შვილიშვილებს. 900-იან წლებში მან ერთ-ერთ შვილიშვილს, რომელიც ყველაზე უკეთ თამაშობდა ჭადრაკს, მზითევში თავისი ნაძვნითევი ჭადრაკი გაატანა. სამაგიეროდ შვილიშვილმა დ. ასათიანმა რიგიდან ჩამოუტანა ჭადრაკი, რომელიც ახლაც ინახება მათ ოჯახში. ფოტინე ჩიქოვანი გარდაიცვალა 1907 წელს.

დასასრულ ამ ცნობების მოწოდებისათვის მადლობა მინდა გადავუხადო ფ. ჩიქოვანის შვილიშვილს, 80 წლის პენსიონერს, სოფ. დერჩის მცხოვრებს დავით ლეჟავას-ძე ასათიანს.

**თ. გიორგაძე,**
ისტორიის კანდიდატი.

## ს ო ფ ლ ი ს მ ო ჭ ი დ ა ვ ე ე ბ ი ს ა რ ბ ი ე ლ ზ ე

დამთავრდა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, ლაგოდეხის, მახარაძისა და სხვა რაიონების ნაკრები გუნდები.

ჩემპიონატში წარმატებას ხვდათ ახალგაზრდებს, რომლებმაც პირველად მოიპოვეს რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონის საპატიო სახელი. აფხაზეთის გუნდის წევრმა უმძიმესი წონის მოჭიდავემ მ. ხასაიამ ყველა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა და საერთო სიმპათია დაიმსახურა. ჭიდაობის მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდნენ აგრეთვე აჭარელი ბ. ხარჩუა და ლაგოდეხელი გ. წველიძე, რომლებმაც მოიპოვეს აგრეთვე პირველი ადგილები.

მსუბუქ წონაში ყველას აჯობა ზ. დეკანოზიშვილმა (თბილისის გარეუბანი). მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა ნახევარსაშუალო წონის მოჭიდავეთა ფინალი. ფინალში თითო წაგებით მივიდნენ გარეუბნის ნაკრების წევრი ჩხარტიშვილი, ონელი ხიდაშელი და დმანისელი დევნოზაშვილი. ამ წონაში პირველობის ბედი უნდა გადაეწყვიტა ჩხარტიშვილისა და ხიდაშელის შეხვედრას. ორთაბრძოლის სუფთად მოგების შემთხვევაში ჩხარტიშვილი პირველ ადგილს ისაკუთრებდა, ქულებით მოგება კი მას შეჯიბრებაში მეორე ადგილს უქადდა. გამოცდილ ჩხარტიშვილს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ფიზიკურად ძლიერმა ხიდაშელმა. ქულებით გაიმარჯვა ჩხარტიშვილმა. ამ წონაში პირველი ადგილი წილად ხვდა გ. დევნოზაშვილს. საშუალო წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა ვ. ვაჭარაძე (ზესტაფონი). ქვემძიმე წონის მოჭიდავეების ლაგოდეხელ კუბლაშვილისა და ქურიძის (მახარაძე) საფინალო შეხვედრა 2 წუთს გრძელდებოდა — სუფთა გამარჯვება და მასთან ერთად პირველი ადგილი მოიპოვა პ. კუბლაშვილმა. მძიმე წონაში კონკურენციის გარეშე იყო აჭარელი ჯ. მანელიშვილი.

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: პირველ ადგილზეა აჭარის გუნდი, მეორეზე — აფხაზეთი, მესამეზე — თბილისის გარეუბნის ნაკრები კოლექტივი.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა ჯილდო.

**უ. ჭანჭალეიშვილი**



სურათზე: კოლმეურნე მოჭიდავეთა შეხვედრის ერთი მომენტი. ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ვინ მოიპოვებს ჯილდოს?

### უძლიერეს ჩოგბურთელთა შეჯიბრება



17 ოქტომბერს თბილისში „დინამოს" კორტებზე დაიწყო ჩოგბურთელთა ტურნირი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ჯილდოზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ს. ანდრეევი, ს. მირზა, ჰ. ფრიდლანდი, ა. ანისიმოვი, ვ. ფილიპოვა, ნ. ლიტოვჩენკო, ვ. ტრომკინა და სხვ. მათთან ერთად ტურნირში გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი ჩოგბურთელები.

პირველ დღეს ჩატარდა ერთეული შეხვედრები. ახალგაზრდა თბილისელი რიაზანოვა შეხვდა ესტონელ უსტავს. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდო რიაზანოვამ და იოლად მოიგო პირველი პარტია ანგარიშით — 6:0. კარგს პოზიციას უქადდა ესტონელს მეორე პარტიაც. მალე ანგარიში — 3:1 წაიყვანა რიაზანოვამ. მაგრამ უსტავმა ბრძოლა მაინც არ შეწყვიტა. პირიქით მან გამოიყენა მოწინააღმდეგის რამდენიმე შეცდომა და მოიგო ზედიზედ ხუთი გეიმი, მესამე გადამწყვეტ პარტიაში ადვილ გამარჯვებას მიაღწია თბილისელმა — 6:1.

აგრესიულ სტილში დაიწყო თავისი შეხვედრა ლარიბაშვილმა ესტონელი პარმასის წინააღმდეგ. პირველი პარტია მთავრდება მისი გამარჯვებით 6:1. მეორე პარტიაშიც უპირატესობა ლარიბაშვილის მხარეს იყო. მალე ანგარიში გახდა 4:2. თბილისელს შეეძლო იოლი დარტყმით მოეგო მეხუთე გეიმიც. მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა, ანერვიულდა და წააგო მეორე პარტია 6:8. ამის შემდეგ მისმა თამაშმა დაკარგა სიმკაფიე და ზედიზედ ორი პარტიის წაგებით დათმო შეხვედრაც.

3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ხარკოველი კრიტოვის და კაპანაძის ბრძოლა. თბილისელმა მხოლოდ მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება. ახალგაზრდა მძინარიშვილმა კარგი წინააღმდეგობა გაუწია ძლიერ მეტოქეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ს. ანდრეევს, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო შეხვედრა მაინც წააგო — 3:0 (6:2, 6:4, 6:3).

მოგვყავს პირველი დღის დანარჩენი შეხვედრების შედეგები. ვაჟები: ანისიმოვი (როსტოვი)-ოლხოვიკი (კიევი) — 3:0, ურაევსკი-კერესელიძე — 3:0, ვერულავა-ლუკაშვილი — 3:2, ფრიდლანდი (მოსკოვი)-პანასიანი (თბილისი) — 3:0, კედარსი (ესტონეთი)-კერესელიძე — 3:1, ზოიცოვი (ლენინგრადი)-ჭარხალაშვილი — 3:0, ხიოპი (ესტონეთი)-მუსაელიანი (თბილისი) — 3:0. ქალები: ფილიპოვა (მოსკოვი)-ლოლობერიძე — 2:0, მინაევა-პუგაევა (ორივე თბილისი) — 2:0, ტრომკინა (როსტოვი)-სერიკოვა (თბილისი) — 2:0, ლიტოვჩენკო-აბჟანდაძე — 2:0, ტამი (ესტონეთი)-ვერულავა — 2:0.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრების მეორე დღე. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ლარიბაშვილის შეხვედრა ესტონელ ხიოპთან. პირველი პარტია მოიგო თბილისელმა — 6:4, მეორე პარტია ხიოპის გამარჯვებით დამთავრდა — 6:1. მომდევნო ორ პარტიას ესტონელი ერთნაირი ანგარიშით 4:6 აგებს. ამ გამარჯვებით ლარიბაშვილმა საგრძნობლად გაიუმჯობესა თავისი სატურნირო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელმა მუსაელიანმა შეხვედრა ანისიმოვთან წააგო (3:0), ბრძოლა მეტად დაძაბული და საინტერესო იყო. ამას ვიჩვენებს პარტიების შედეგიც 5:7, 4:6, 4:6. მთელი ძალების მობილიზება დასჭირდა მოსკოველ ფრიდლანდს, რათა დაემარცხებინა ვერულავა მეხუთე პარტიაში.

დამარცხება განიცადა საქართველოს ჩემპიონმა ურაევსკიმ კაპანაძესთან. ამაში დამნაშავე თვითონ ურაევსკია, რომელიც არასერიოზულად მოეკიდა მატჩს.

მეორე დღის ტექნიკური შედეგები ასეთია. ქალები: უსტავი-ტამი—2:0, რიაზანოვა-ვერულავა — 2:0, ფილიპოვა-პუგაევა — 2:0, მინაევა-ლოლობერიძე — 2:0, ტრომკინა-აბჟანდაძე — 2:0, ლიტოვჩენკო-სერიკოვა — 2:0.

მესამე დღის შეხვედრებით დამთავრდა წინასწარი შეჯიბრებები ქალთა შორის. უძლიერესთა ექვსეულში შევიდნენ ფილიპოვა, ლიტოვჩენკო, ტრომკინა, უსტავი, რიაზანოვა და მინაევა.

მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა ურაევსკიმ პალმთან შეხვედრაში. თბილისელმა მოწინააღმდეგე დაამარცხა მხოლოდ მეხუთე პარტიაში. ვაჟთა შორის ჯერჯერობით წაუგებლად მიდიან ანდრეევი, მირზა, ფრიდლანდი, ანისიმოვი, კედარსი და კაპანაძე.

მესამე დღის ტექნიკური შედეგები ასეთია. ვაჟები: კაპანაძე-კერესელიძე — 3:0, ლარიბაშვილი-მუსაელიანი — 3:0, ვერულავა-პანასიანი — 3:0, ანდრეევი-ჩახუნაშვილი — 3:0, ზოიცოვი-ლუკაშვილი — 3:0, ფრიდლანდი-ჭარხალაშვილი — 3:0, ანისიმოვი-პარმასი — 3:0, კოკაია-კერესელიძე — 3:0. ქალები: ფილიპოვა-მინაევა — 2:0, პუგაევა-ლოლობერიძე — 2:0, აბჟანდაძე-სერიკოვა — 2:0, ტრომკინა-ლიტოვჩენკო — 2:0.

ლ. ფალავანდიშვილი.

• • •

სურათზე: გ. კაპანაძე თამაშის დროს.

# როული ტრასა და მაღალი ოსტატობა

### საქართველოს პირად-გუნდური შეჯიბრება მოტოკროსში

უკვე კარგა ხანია, რაც დიდმის ველი მოტოციკლისტთა შეჯიბრების ტრადიციულ ადგილად გადაიქცა. მრავალრიცხოვანი აღმართები, თავბრუდამხვევი დაღმართები, ერთი შეხედვით გაუვალი ჭაობები მეტად საინტერესოს ხდის მოტომრბოლელთა შეჯიბრებას.

მოტოკროსში საქართველოს პირად-გუნდური შეჯიბრება, რომელიც 17 ოქტომბერს მოეწყო, სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენებისათვის. შეჯიბრებისადმი ინტერესი გაზარდა იმანაც, რომ მასში კონკურსგარეშე აზერბაიჯანის ნაკრები კოლექტივიც გამოდიოდა. გუნდურ ჩათვლაში პირველობისათვის იბრძოდნენ მხოლოდ „დინამოსა" და დოსააფის წარმომადგენლები. ბურევესტნიკელი და არმიელი სპორტსმენები მხოლოდ პირად ჩათვლაში მონაწილეობდნენ.

დღის 2 საათზე სტარტი მიეცა 350 კბ. სმ კლასის მოტოციკლებს. სპორტსმენები ელვის სისწრაფით მოწყდნენ ადგილიდან და შემდეგ გრძელ ჯაჭვად გაიშალნენ დისტანციაზე. რბოლას თავიდანვე თავში ჩაუდგა სამი მოტოციკლისტი: დინამოელი შალიბაშვილი, ბაქოელი მატკოვსკი და დოსააფელი ჩხაიძე. პირველი და ყველაზე ძნელად გადასალახავი წინააღმდეგობა გრძელი ჭაობიანი ხევი იყო. სწორედ ამ ადგილას მოეყარა თავი „საინტერესო ამბების" მოლოდინში ხალხს. გამოჩნდნენ მოტოციკლისტები. წინ შალიბაშვილი მოდიოდა. ყველასათვის მოულოდნელად სპორტსმენმა გეზი ჭაობისაკენ კი არ აიღო, არამედ საკმაოდ მაღალ ბორცვისაკენ და ელვის სისწრაფით, თითქმის ჰაერში გადაევლო მას. ჩხაიძემ და ბაქოელმა მატკოვსკიმ ჭაობით გასვლა გადაწყვიტეს. აქ მათ დაკარგეს რამდენიმე მეტად საჭირო წამი და როდესაც საბედისწერო ადგილს გაცდნენ, შალიბაშვილი მოსახვევს მოფარებული იყო...

სტარტი მიეცა დანარჩენი კლასის მოტოციკლებსაც და ჭაობიანი ხევი თითქმის მთლიანად დაიფარა მოგუგუნე მოტოციკლებით. ბევრ მათგანს დიდი ხნით მოუხდა შეჩერება ჭაობში. ზოგმა ადვილად დააღწია თავი მას, მაგრამ ზოგი თითქოს სამუდამოდ ჩაეფლო ტალახში. ამასობაში ლიდერები უკვე მეორე წრეს მიდიოდნენ. შალიბაშვილმა, რომელიც კვლავინდებურად წინ იყო, ისევ ძველი გზა აირჩია და დიდ სისწრაფეზე გადალახა ბორცვი. ბაქოელი ჭაობით გავიდა, ხოლო ჩხაიძე — შალიბაშვილის გზით, მაგრამ თუ ლიდერი ამ მონაკვეთს მაქსიმალურ სისწრაფეზე სძლევდა, ჩხაიძე სისწრაფეს უკლებდა. ეს კი ბორცვის ეფექტიანად დაძლევის საშუალებას არ იძლეოდა.

ერთხანს ლიდერებმა ადგილები შეიცვალეს. ბაქოელმა გაუსწრო შალიბაშვილს, მაგრამ უკანასკნელი სულ მალე დაეწია მას და რბოლას კვლავ წინ მოექცა. მეოთხე წრეზე შალიბაშვილს მოტორი ჩაუქრა. სანამ სპორტსმენი დაადგენდა „ავარიის" მიზეზს, მას გაუარა ბაქოელმა შერბინმა. მაგრამ, როდესაც გამოჩნდა მეხუთე წრეზე მიმავალთა ავანგარდი, წინ კვლავ შალიბაშვილი იყო. მანქანის შეკეთების შემდეგ იგი კვლავ დაეწია ბაქოელს.

აი ფინიში... ფინიშის წინა დაბრკოლება... შალიბაშვილმა დიდი სისწრაფით მოუხვია და ხევიდან ამოსვლის შემდეგ პირველმა გადაკვეთა თეთრი ხაზი. პირველი ადგილი და მასთან რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა თ. შალიბაშვილმა, რომელმაც 80 კილომეტრი (6 წრე) 1.37.47,0 დაფარა. ბაქოელი შერბინი ფინიშთან მეორე იყო, ხოლო გლადკასკოკი — მესამე. ვინაიდან აზერბაიჯანელი სპორტსმენი კონკურსგარეშე გამოდიოდა, მეორე ადგილი წილად ხვდა გლადკასკოკს, ხოლო ჩხაიძეს — მესამე, უნდა ითქვას, რომ როგორც ბაქოელ მატკოვსკის, ისე ჩხაიძესაც დაუზიანდა რბოლის დროს მოტოციკლი.

750 კბ. სმ კლასის მოტოციკლებში კონკურენციის გარეშე იყო [illegible] ყველა თავისი მოწინააღმდეგე და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი შედეგით 1:41.11,1. ამ ტიპის მოტოციკლებით რბოლაში ფინიშთან მეორე მივიდა დინამოელი გვერდწითელი, რომელმაც ჩემპიონთან თითქმის ერთი საათი წააგო. მესამე ადგილზე გამოვიდა შარაფიანი (დოსააფი).

უკანასკნელ მეტრებამდე ძნელი გასარკვევი იყო, ვინ გახდებოდა ჩემპიონი 125 კბ. სმ კლასის მოტოციკლებით რბოლაში. უნდა ითქვას, რომ აქ მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა იყო თავმოყრილი. სპორტსმენებს აქაც უნდა გადაელახათ 6 წრე. ლიდერები თითქმის ყოველ წრეზე იცვლებოდნენ. ზოგიერთი აღმართის დაძლევა მოტოციკლისტებს ფეხით უხდებოდათ, სამაგიეროდ, დაღმართზე პატარა ძალის მოტოციკლები დიდ სისწრაფეს ანვითარებდნენ.

ერთხანს კროსს ლიდერობდა კაფაროვი, რომელიც შემდეგ ბურევესტნიკელმა ცალქალამანიძემ შესცვალა. ლიდერები იყვნენ აგრეთვე გრიგორიანი, გალუსტოვი (ორივე დოსააფი) და ბურევესტნიკელი ლომიძე.

უკანასკნელ წრეზე წინ გავარდა ცალქალამანიძე, მაგრამ მანქანის დაზიანების გამო მას გრიგორიანმა გაუსწრო. ცალქალამანიძე გრიგორიანს მალე დაეწია. ახლა უკვე იგი ლიდერს ჩამორჩებოდა მხოლოდ 8-10 მეტრით.

ფინიში. პირველად სასურველ მიჯნა კ. გრიგორიანმა გადაკვეთა შედეგით — 1:48.29,8. დაახლოებით სამი მეტრით ჩამორჩა მას ცალქალამანიძე — 1:48.29,9 შედეგების ასეთი სიმჭიდროვე იშვიათია მოტოციკლისტთა შეჯიბრებებში. გასული წლის ჩემპიონი კაფაროვი იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

ეტლიანი მოტოციკლების მართვის მაღალი ოსტატობა გამოავლინეს არმიელმა სპორტსმენებმა გ. პოლოზენკომ და დამხმარე ი. ბუდილკინმა (1:51.20,5). მათ მიეკუთვნათ რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ გასული წლის ჩემპიონები სარქისოვი და შპაგინი (დამხმარე)

მოტოციკლისტ ქალებს უნდა გაევლოთ იმავე ტრასაზე 3 წრე. აქ პირველობა დაისაკუთრა დინამოელმა ვ. ბარასევამ — 1:20.09,0. მომდევნო ადგილებზე არიან კრუჩკოვა („დინამო") და თბილისის ჩემპიონი გონგაძე (დოსააფი)

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე იყვნენ „დინამოს" მოტოციკლისტები, მეორეზე — დოსააფის კოლექტივი, ხოლო მესამეზე — აზერბაიჯანის ნაკრები გუნდი.

ა. ბუნია,
სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.





მოტოციკლისტები რბოლის ტრასაზე

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ლაგოდეხის სტადიონზე

ამას წინათ „კოლმეურნის" ლაგოდეხის რაიონულმა საბჭომ მოაწყო შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში, რომელიც ჩატარდა ორ ეტაპად. თავდაპირველად შეხვედრები გათამაშდა ზონებში, ხოლო აქ გამარჯვებულ სპორტსმენებს ფინალში მონაწილეობის უფლება მიეცათ.

ფინალი მოეწყო ლაგოდეხის სტადიონზე. კალათბურთელთა ტურნირში უძლიერესნი აღმოჩნდნენ აფენის ვაჟთა და ლელიანის ქალთა გუნდები. ფრენბურთში გამარჯვება მოიპოვეს ტიდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის ვაჟთა და ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ქალთა გუნდებმა.

გ. გაგაური.

## გაზეთის ჯილდოზე

ამას წინათ მოეწყო რაიონული შეჯიბრება ფრენბურთში გაზეთ „ახალი წყალტუბოს" თასზე. პირველი ადგილი დაიკავა წყალტუბოს რუსული საშუალო სკოლის ფრენბურთელთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ქართული სკოლის გუნდი.

ვ. დარდაგანიძე.

## რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

## წელს პირველად

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში მოეწყო ქალაქის პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში მოზარდთა შორის. შეჯიბრებამ, რომელიც წელს პირველად ჩატარდა, მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭიდავე გამოავლინა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს ნ. მაჩალაშვილმა, ო. გასვიანმა, ო. ქაცაძეშვილმა, ჯ. ბერიაშვილმა, თ. ბაბაშვილმა (მსუბუქ, ქვემძიმე და მძიმე წონებში პირველობა არ შედგა).

შ. ნოზაძე.

## მოსწავლეთა ლაშქრობა

ბორჯომის რაიონის წაღვერის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მასწავლებლების ვონაშვილისა და ჩიკვილაძის ხელმძღვანელობით მოაწყეს ლაშქრობა შემდეგი მარშრუტით: წაღვერი — ტაძრისი — აწყური — ახალციხე — აბასთუმანი — ზეკარის გადასასვლელი — მაიაკოვსკი — ქუთაისი.

აღნიშნული ლაშქრობა ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ფესტივალს მიეძღვნა.

მ. გელაშვილი.

## ქარხნის პირველობაზე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მთელმა კოლექტივმა ჩაატარა ქარხნის პირველობა ფეხბურთში საამქროებს შორის (გუნდების შემადგენლობაში იყო 6-6 მოთამაშე).

ქარხნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ამწყობი საამქროს გუნდმა. ძალთა დანაღვარების საამქროს სპორტსმენები გამოვიდნენ მეორე ადგილზე, ხოლო მესამეზე — სამგზავრო-სავაგონო საამქროს ფეხბურთელები.

ვ. ცინცაძე.

## წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 19 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი — „სად ივარჯიშონ ფოთელებმა".

როგორც საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტიდან გვატყობინებენ, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ქალაქში სპორტდარბაზის მშენებლობისა და კეთილმოწყობის მიმდინარეობის შესახებ. ამ დადგენილებით ნავსადგურის უფროსს კ. რეკვავას და მთავარ ინჟინერს ა. გოგინავას დაევალათ ოქტომბრის ბოლომდე უზრუნველყონ „ვოდნიკის" სტადიონისა და წყალჯომარდობის სადგურის მშენებლობა და კეთილმოწყობა მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების მიხედვით. განათლების განყოფილების გამგეს ა. ცხადაიას და ქალაქის საბშენებლო სარემონტო კანტორის უფროსს გ. იმნაძეს დაევალათ წლის ბოლომდე უზრუნველყონ სპორტდარბაზის მშენებლობისათვის დაშვებული თანხის ათვისება და ოქტომბრის ბოლოსათვის „ვოდნიკის" სტადიონზე სარბენი ბილიკის მოწყობა.

# გაყიდული — ვაჟკაცობა

## ბრძოლა ზვიგენთან

წყალქვეშა ყაჩაღები — ზვიგენები იმწამსვე აედევნენ ტივს, როგორც კი თბილ დინებაში მოხვდა. ისინი გარს უვლიდნენ ტივს, მერე მიუახლოვდებოდნენ მას და მჭრელი კბილებით ცდილობდნენ მორების დამაკავშირებელი თოკების გადღრღნას. მოგზაურები ჯერ უყურებდნენ ზვიგენების „ხუმრობას", ხოლო შემდეგ გადაწყვიტეს მოქმედება, რადგან ტივის დაშლის საშიშროება იზრდებოდა. ისინი აღიჭურვნენ თვითნაკეთი ბარჯებით და ტივის კიდესთან დადგნენ.

29 ივლისი, მზიანი დღე იყო, ანრის წყალში ჩაეშვა ფეხები და ჰაერში თოლიების ნავარდს ვასცქეროდა. „უცებ, — წერს ბომბარი? ბოდუ, — შევამჩნიე, რომ ტივთან რაღაც თავისუფლად მოცურავს, თევზები გაიფანტნენ. ჩვენ უკვე ვიცოდით თუ რას ნიშნავდა ეს — სადღაც ახლო გამოჩნდა დიდი თევზი. ყოველ შემთხვევაში ფეხები წყლიდან ამოვიღე. შევამჩნიე, რომ წყლის გლუვი ზედაპირი ვერცხლისფერმა გრძელმა საგანმა გაკვეთა. ზვიგენი ახლოვდებოდა. მე ამხანაგებს დავუძახე. აღვიჭურვეთ ბარჯებით, გასტონმა კინოაპარატი მოიმარჯვა. ზვიგენი სულ ახლო მოცურდა, გადაბრუნდა ზურგზე და კბილებით ჩაფრინდა მორების შემაკავშირებელ თოკებს. მე და მარკმა ვტყორცნეთ ბარჯები, მე დავაცილე, მარკმა კი ბარჯი მკერდში ჩაარჭო. ზვიგენი ზღვის სიღრმეში ჩაეშვა. მარკმა მთელი ძალ-ღონე დაძაბა თოკის დასაჭერად. თოკი შხუილით მიძვრებოდა მის ხელებში და თითებს წვავდა. მე და გასტონი მივეშველეთ. ბრძოლა ერთ საათს გაგრძელდა, ბევრჯერ ვცადეთ ზვიგენის ტივთან მითრევა, მაგრამ იგი მაინც სიღრმისკენ მიიწევდა.

— გასტონ, ქამანდი! კუდზე! — დავიყვირე მე.

გასტონმა სწრაფად გაჰკვეთა მარყუჟი და ქამანდი სტყორცნა. მაგრამ იგი ხომ ფრანგია და არა მექსიკელი. მესამე ტყორცნისას მარყუჟი მოედო ზვიგენის კუდს. სამივემ დავძაბეთ ძალები და ვეებერთელა თევზი ტივზე ამოვათრიეთ. ნახევარი საათის განმავლობაში შორიდან ვუცქეროდით, ახლოს მისვლას ვერ ვბედავდით. ამ დროს კაბინიდან გამოცუნცულდნენ კატები და ლეში დაყნოსეს. დავრწმუნდით, რომ ზვიგენი მკვდარი იყო...

## ტივიც კი დაიღალა

„ძალზე დავიღალეთ. — მოგვითხრობს დღიური. — ჩვენი ერთადერთი სურვილია, რაც შეიძლება მალე დავადგათ ფეხი მიწაზე. მაგრამ ქარმა სამხრეთისაკენ წაგვიღო მაშინ, როდესაც ირლანდიის ნაპირებიდან 300 მილის დაშორებით ვიქნებოდით".

„კვირა. 5 აგვისტო. ვმოძრაობთ ავტომატურად. დღიურის შევსება მიძნელდება. ორიოდე წუთის წინ მომხდარი ამბებიც კი აღარ ვახსოვს. მე მგონია, რომ ტივიც დაიღალა. და რაც ვუახლოვდებით მიწას, ზღვა უფრო ჭირვეულობს. 7 აგვისტოს ქარი ჩადგა. ადგილზე ვდგევართ. როგორ გადავლახოთ ეს მანძილი, რომელიც მიწასთან გვაშორებს? დღე მეტად გრძელი, ერთფეროვანი და მომქანცველი გვეჩვენება. 10 აგვისტოს ქარი მოვარდა ტივი ლა-მანშისაკენ დაიძრა. საათობით ჩავცქერით რუკას და ერთმანეთს ვარწმუნებთ, რომ მიწასთან ახლო ვართ. მართლაც ახლა შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ჩვენ გადავლახეთ ატლანტიკის ოკეანე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. უკვე მესამე თვეა, რაც არაფერი ვიცი ცოლშვილის შესახებ. როგორ არიან? მათ ყოველდღიურ ტანჯვას ჩემზე ფიქრიც მიემატა".

რამდენიმე დღის განმავლობაში აუტანელი სიცხე იყო. თოკები გახმა და მოდუნდა, მარკმა რამდენჯერმე სცადა რადიოკავშირის დამყარება ხმელეთთან, მაგრამ არც რადიომოყვარულები და არც დიდი სადგურები მის სიგნალებს არ პასუხობდნენ.

„18 აგვისტო. შევჭამეთ თევზის უკანასკნელი ნაჭერი და ორი მუჭა ლობიო, მეტი აღარაფერი დაგვრჩა. 20 აგვისტოს ღამის პირველ საათზე გასტონი შევცვალე. გავცქეროდი მთვარის შუქზე მოელვარე ზღვას... ჩემდა უნებურად შევყვირე. შორს, ჰორიზონტზე სინათლე შევნიშნე. ეს შუქურა იყო! ჩემ ყვირილზე გამოვიდნენ მეგობრები. რამდენიმე საათს ვაცქეროდით წყვდიადს და გვიხაროდა, რომ ეს მოჩვენებითი სინათლე თანდათან რეალური ხდებოდა. ძნელი არ არის წარმოიდგინოთ თუ რა გადავიტანეთ, ჩვენ ხომ 80 დღეა, რაც მიწა არ გვინახავს.

## „ჩვენ ჭკუაზეშეშლილი ფრანგები ვართ"

ქარი მოცმციმე სინათლისაკენ ერეკებოდა ტივს. გადაწყვიტეს: როგორც კი გამოჩნდება გემი ისროლონ სასიგნალო შუშხუნა. მოითხოვონ კოორდინატი და შველა. დილით ჰორიზონტზე გამოჩნდა გემი. ორი შუშხუნა აიჭრა ჰაერში. გემზე ვერ შეამჩნიეს ნიშანი. შემდეგ მარკმა შეამჩნია ტანკერი. მალე ტანკერი ერთი მილით მოუახლოვდა ტივს. ანრიმ შუშხუნა ისროლა. გასტონმა და მარკმა იალქანი ჩამოხსნეს. მაგრამ ტანკერმა ვერ შეამჩნია და მიიმალა. მალე კიდევ გამოჩნდა გემი. ანრიმ კვლავ გაუშვა ჰაერში შუშხუნა. გასტონმა და მარკმა საძილე ტომრები ააფრიალეს. გემმა კურსი შეცვალა და ტივს მოუახლოვდა.

— ვინა ხართ? — გაისმა გემიდან.

— ჩვენ ჭკუაზეშეშლილი ფრანგები ვართ.

— ხუმრობის დრო არ არის, რაშია საქმე? თქვენ რა, ამერიკაში ხომ არ მიემგზავრებით? შემიძლია გემბანზე აგიყვანოთ.

— გვითხარით სად ვიმყოფებით? — ჰკითხა ანრიმ.

— ინგლისიდან 19 მილის დაშორებით.

— ანრი, თხოვე ბუქსირი, — დაიყვირა გასტონმა. ღამდებოდა, როდესაც ტივს მოადგა მოტორიანი ნავი, რომელმაც ანრი აიყვანა გემზე კაპიტანთან მოსალაპარაკებლად ტივის ნაპირამდე მიყვანის შესახებ.

## ვაჟკაცობის ფასი — შვიდი ათასი გირვანქა

ცნობა სამი მოგზაურის შესახებ, რომლებმაც ტივით გადაცურეს ატლანტიკის ოკეანე, მთელ სანაპიროს მოეფინა. რეპორტიორებმა ნავები იქირავეს და ზღვაში შევიდნენ. მათ, როგორც პირატებმა, აბორდაჟზე აიყვანეს ტივი, რომელიც მალე აივსო გაზეთის მუშაკებით. მოგზაურები შემწვარ ხორცსა და ლობიოს შეექცეოდნენ. ვიღაცამ ვისკი მიაწოდა, რომელმაც მათ კრიჭა გაუხსნა.

— ჩვენ ვშიმშილობდით.

— უმი თევზით ვიკვებებოდით.

— კატები საბედნიეროდ წამოვიყვანეთ.

ანრიმ მეგობრებს ანიშნა და რეპორტიორებს მოუბრუნდა.

— ბატონებო! შიმშილი, უმი თევზი და კატებიც ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ 6.000 დოლარი ვალი გვაქვს. ძლიერ დავხანდით ზღვაზე და დავკარგეთ სამუშაო. ერთი სიტყვით, არ ვფიქრობთ ვინმეს მუქთად ვაჩუქოთ რეისი. ჩვენ ვყიდით მას.

— ათასი გირვანქა! — დაიძახა ვიღაცამ.

აუქციონი დაიწყო. იყიდებოდა ყველაფერი. ფოტოაპარატი ფირებით, მოკლემეტრაჟიანი ფილმი, დღიურები... სანამ ტივმა ნაპირს მიაღწია ვაჟკაცობის ფასმა 7.000 გირვანქას მიაღწია. ამ თანხის გადახდა იკისრა ლონდონის გაზეთმა „დეილი მეილმ". ტივი ფალმუტის ნავსადგურში შევიდა.

— სუვენირი, სუვენირი! — გაჰყვიროდნენ ბიჭები და მოგზაურებისაკენ ხელებს იშვერდნენ.

— დილა მშვიდობისა, — ყვიროდნენ მამაცები. სუვენირების მოყვარულებს ტივიდან გულუხვად ესროდნენ კონსერვის ცარიელ ქილებს და სიგარეტის კოლოფებს.

## ისევ იქ, სადაც ფული ბატონობს

გამოჩნდნენ საბაჟოს ჩინოვნიკები და ისევე თითქოს საოკეანო გემს ამოწმებდნენ, დაათვალიერეს საკმაოდ შეფერთხილი ტივი, ცარიელი ქოხი და მიყრილ-მოყრილი ყუთები. უფროსმა ჩინოვნიკმა პორტფელიდან საბაჟოს აქტის ფურცელი ამოიღო.

— გაქვთ თუ არა თქვენ მაგარი სასმელები, — მიმართა მან ანრის, — თამბაქო? გასაყიდი საქონელი?

— აქ მხოლოდ ხის ტივია და ჩვენ მისი მფლობელნი, — გაცხარდა ანრი.

მებაჟეებმა აუღელვებლად შეავსეს დეკლარაციის ოთხი გვერდი, კატები კარანტინში გაგზავნეს და ტივის ბუქსირების ფული მოითხოვეს. მხოლოდ ამის შემდეგ დაადგეს მათ ფეხი მიწაზე.

მოქანცულები, ქარისა და მარილიანი წყლისაგან დახეთქილი ტუჩებით ისინი ძლივს უღიმოდნენ ირგვლივ შემოკრებილ ხალხს და ვერ ასწრებდნენ პასუხის გაცემას უამრავ კითხვებზე.

— დათანხმდებით თუ არა ასეთი ლაშქრობის გამეორებაზე?

— არა. ერთიდაიგივესათვის ორჯერ არ უხდიან საფასურს. ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი საქმე და ახლა სახლისაკენ!

— რა გეგმები გაქვთ მომავალში?

— არ ეშვებოდნენ ცნობისმოყვარეები.

— ალბათ გავაღებთ მკვლევარების კლუბს. — უპასუხა ანრიმ. — შემდეგ, თუ ფული დაგვრჩა, ვიყიდით ახალ შარვლებს.

— ბატონებო! ბატონებო! — აწრიალდა „დეილი მეილის" კორესპონდენტი. — თქვენი ისტორია ჩვენმა გაზეთმა იყიდა... გთხოვთ მანქანაში.

როგორც იქნა მანქანამდე მიაღწიეს. ახალი ლიმუზინი ხალხში ძლივს მიიკვლევდა გზას. მას ლონდონში მიჰყავდა სამი მამაცი, რომლებმაც დაამარცხეს ოკეანე და ისევ იმ სამყაროში აღმოჩნდნენ, სადაც მეფობს ფული, ის ფული, რომლისთვისაც მათ სიცოცხლე გაწირეს.

დასასრული, იხ. „ლელო" № 85.

## ავსტრალიელები ემზადებიან

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 73 სახელმწიფოს განაცხადია შემოსული შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. ყველა ამ სახელმწიფოს სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი ასპარეზობისათვის და რაც უფრო ცოტა დრო რჩება 22 ნოემბრამდე, მით უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს ამ მზადებას.



XVI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 6.000 სპორტსმენი, მაგრამ ეს რაოდენობა თანაბრად როდი იყოფა ყველა 73 სახელმწიფოზე. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციები ოლიმპიადაზე ეყოლებათ საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიას. ისეთი მოზრდილი სახელმწიფო კი, როგორიცაა ესპანეთი, მელბურნში აგზავნის... მხოლოდ 4 კაცს. მათგან ერთი მძლეოსანია, ერთი ტანმოვარჯიშე, ერთი მოცურავე და ერთიც მსროლელი. რა თქმა უნდა, ეს „კვარტეტი" ბევრს ვერაფერს ჩაიტანს თავის ქვეყანაში.

ის, რომ ავსტრალია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი დელეგაციით იქნება წარდგენილი ოლიმპიადაზე, სრულიადაც არ აიხსნება თამაშების ამ კონტინენტზე ჩატარებით. ავსტრალიის მთელ ტერიტორიაზე სპორტი უდიდესი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს. მას მისდევს ყველა — პატარებიდან დაწყებული ხნიერამდე, ქალებიც და ვაჟებიც. სპორტულ ბაზებს უხვად შეხვდებით როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ავსტრალიაში სახალხო გმირებად ითვლებიან გამოჩენილი ფეხბურთელები, ჩოგბურთელები, მოცურავეები. ამას წინათ 64 წლის ასაკში გარდაიცვალა მელბურნის მერი სერ ფრენკ ბიურპერი. იგი ამ თანამდებობაზე არჩეულ იქნა მელბურნში ოლიმპიური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით. განსვენებული თავის დროზე შესანიშნავი მოცურავე იყო. ბიურპერი მონაწილეობდა 1908, 1920 და 1924 წლების ოლიმპიადებში, მას ეკუთვნოდა 8 მსოფლიო რეკორდი თავისუფალი სტილით ცურვაში 200 მეტრიდან დაწყებული 1 მილამდე დისტანციებზე (აქედან 5 დამყარებულ იქნა 1910 წელს, ხოლო 3 — 1920-21 წლებში). ფ. ბიურპერი 34-ჯერ იყო ავსტრალიისა და 11-ჯერ ბრიტანეთის იმპერიის ჩემპიონი. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ბიურპერმა 200.000 ავსტრალიური გირვანქა სტერლინგი შეწირა მელბურნის უნივერსიტეტს ფიზკულტურული ცენტრის აგებისათვის. მელბურნელებმა დიდი პატივით დაასაფლავეს თავისი მერი, წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენი.

ავსტრალიელები საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მიმდევარნი არიან. 1896 წლის ათენის ოლიმპიადიდან დაწყებული ავსტრალიელმა სპორტსმენებმა 20 ოქროს მედალი მოიპოვეს. ხოლო ჰელსინკში მათი ტროფეი შეადგენდა 6 ოქროს, 2 ვერცხლის მედალს.

ავსტრალიის სპორტულ წრეებში ბოლო ხანებში დიდ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ცნობილი რეკორდსმენი 1 მილზე რბენაში ჯონ ლენდი ფეხის ტრავმის გამო ალბათ მონაწილეობას ვერ მიიღებს ოლიმპიურ თამაშებში.

მელბურნში სულ ახლახან მოეწყო მძლეოსანთა შესარჩევი შეჯიბრება. ოლიმპიურმა ჩემპიონმა შ. დე ლა ჰანტიმ 80 მეტრი თარჯებით გაირბინა 11 წამში (ავსტრალიის ახალი რეკორდი). ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალთა ნაკრებმა გუნდმა ამანათრბენში 4×110 იარდზე დაამყარა ავსტრალიისა და ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნების ახალი რეკორდი — 46,2 წამი. მსოფლიო რეკორდსმენმა ქალთა შორის გ. კაბერტმა მოიგო რბენა 100 და 200 მეტრზე.

განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწია 17 წლის მოცურავემ მ. როუზმა. ქ. ბრისბენში ამას წინათ მოეწყო საწვრთნელი ცურვა 400 მეტრზე, სადაც მან აჩვენა 4.29,2. ეს შედეგი 1,5 წამით უკეთესია მსოფლიო მიღწევაზე 50-მეტრიანი აუზებისათვის, რომელიც ფრანგ ჟ. ბუატიეს ეკუთვნოდა.

ამავე დღეს 14 წლის მოცურავე გოგონამ სანდრა მორგანმა იგივე დისტანცია გაცურა 5 წუთსა და 10,6 წამში.

ავსტრალიაში ფეხბურთის რამდენიმე სახეობაა გავრცელებული, მაგრამ ევროპულმა ფეხბურთმა ბოლო ხანებში განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი. ავსტრალიელები წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირში. აქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ თავისი გუნდის ოლიმპიადისათვის მოსამზადებლად მიიწვია ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი.

მელბურნის ოლიმპიურ სტადიონზე ამას წინათ შედგა ფინალური მატჩი ავსტრალიის თასზე ფეხბურთში. მატჩზე გაიყიდა 116 ათასი ბილეთი. ოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტი ამ მატჩს თვლიდა გენერალურ რეპეტიციად ოლიმპიადის გახსნისათვის, მაგრამ რეპეტიცია მარცხით დამთავრდა — მაყურებლებმა შეამტვრიეს 6 შესასვლელი კარი, არიან დაშავებულები...

ამასთან დაკავშირებით საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა თამაშების გახსნის დღეს გაყიდოს მხოლოდ 104 ათასი ბილეთი, ხოლო სხვა დღეებში — 110 ათასი.

**ბ. ბიჟიმჟრელი.**

## სამატჩო შეხვედრები

ერევანში მოეწყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „კრასნოე ზნამიას" ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა მძლეოსნობაში.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს სომხეთის სპორტსმენებმა, მეორე ადგილზეა საქართველოს გუნდი. საქართველოს წარმომადგენლებმა მთელ რიგ სახეობაში დაიკავეს პირველი ადგილი: ნ. სუვერნიოვა — რბენა 100 მ — 12,9, სიგრძეზე ხტომა — 5,31 მ, ე. ლომთაძე — რბენა 100 მ — 11,3, რბენა 200 მ — 23,7 მ.

**ი. რუხაძე.**

• • •

ამ დღეებში მოეწყო ამხანაგური შეხვედრა მაგიდის ჩოგბურთში ერევნისა და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდებს შორის.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეჯიბრება მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 18:2.

**გ. ფამილიანტი.**

## ოსტატთა მონაწილეობით

მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო მასობრივი ტურნირის ფინალი, რომელშიც 88 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის გროსმაისტერი ი. ბოლესლავსკი (ბელორუსია), ოსტატები რ. ხოლმოვი (ლიტვა). ჰ. კასპარიანი (სომხეთი), ვ. მაკაგონოვი (აზერბაიჯანი), მ მუხიტდინოვი (უზბეკეთი) და სხვები. საქართველოდან თამაშობენ ოსტატობის კანდიდატები ო. კაკაბაძე, ბ. ბლაგიძე, თ. გიორგაძე, პირველთანრიგოსნები ი. ვეტოხინი, მ. პაიჭაძე და მ. დემურია.

შეჯიბრება მიმდინარეობს ე. წ. შვეიცარიული სისტემით. ყოველი ტურის წინ ხდება კენჭისყრა. ერთმანეთს ხვდებიან ის მოჭადრაკეები, რომლებსაც ქულათა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა აქვთ.

შეჯიბრება დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს. პირველ ტურში უზბეკმა ოსტატმა მუხიტდინოვმა კარგად ჩაატარა მთელი პარტია და ფრიად საპატიო ყაიმს მიაღწია გროსმაისტერ ბოლესლავსკისთან.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეხვედრა დემურიასა და კანდიდატ სარქისიანს შორის (სომხეთი) სადაც, ცაიტნოტში უხეში შეცდომის შედეგად განიცადა დამარცხება დემურიამ.

კაკაბაძისა და შუმახერის შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. ყაიმით აღინიშნა აგრეთვე გიორგაძე-კრუტიანსკისა (ლენინგრადი) და პაიჭაძე-საფონოვის (მოსკოვი) შეხვედრა.

**რედაქტორი ი. უბულავა**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, მორიგისა და გამომშვების — 8-88-25.



პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07149